ბუხაიძის I შეს. №6ა

(წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ისტორიულ ჩუღურეთში. ბუხაიძის I შესახვევის მჭიდრო განაშენიანებაში. ნაკვეთი მოქცეულია I შესახვევსა და ბუხაიძის ქუჩას შორის. ზურგიდან მას ბუხაიძის ქ. №20 სახლი ესაზღვრება.



ბუხაიძის I შესახვევი.

ბუხაიძის I შესახვევი, ისევე როგორც მისი მიმდებარე - ბუხაიძის, ალ. ციმაკურიძის ქუჩები, დოქის და ბუხაიძის II შესახვევები – ჩუღურეთის უბნის ფორმირების პროცესში წარმოიქმნა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, აქ ადრე არსებული სოფლური დასახლების ადგილას. სოფელი აღნიშნულია ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წლის თბილისის გეგმაზე (№62). მასზე დატანილი დასახლების აღმნიშვნელი უჯრედების მიხედვით ის მჭიდროდ დასახლებული

ადგილი ყოფილა. მას სამი მხრიდან ხევები ერტყა, ხოლო დასავლეთიდან მტკვარი ჩაუდიოდა. სოფელს შუაზე ჰყოფდა მასზე გამავალი ე.წ. „ავჭალის გზა“, რომელიც ქალქის ერთ-ერთ მთავარ კართან (ისანთან) იწყებოდა და მიემართებოდა ჩრდილოეთისაკენ – მცხეთის მიმართულებით. ეს იყო სატრანზიტო გზა, რომელიც ქალაქის ცენტრს აკავშირებდა პერიფერიებთან.



ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის თბილისის გეგმა.

ქალაქისპირა სოფლების - ჩუღურეთის და კუკიის ქალაქთან მიერთების საკითხი აქტუალური გახდა საქართველოში რუსეთის ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ - 1820-იანი წლებიდან. 1823 წლის აღწერით ჩუღურეთში სახლობდნენ, როგორც ხელოსნები, ისე მიწათმომქმედი გლეხები. ჩუღურეთი იყო, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე ხელოსნური მეწარმეობის უბანი.

1824 წელს გენერალ ერმოლოვის განკარგულებით ჩუღურეთი ოფიციალურად შემოუერთდა თბილისს, თუმცა მისი კეთილმოწყობა და

დაგეგმარება კიდევ დიდ ხანს ვერ ხერხდებოდა და ის კვლავაც რჩებოდა სოფლური ტიპის დასახლებად. 1827 წელს თბილისის მომწყობ კომიტეტს დაევალა ქალაქის დაგეგმარება და ახლად შემოერთებული უბნების კეთილმოწყობა, თუმცა კომიტეტმაც ბევრი ვერაფერი გააკეთა. ამ დროს ჩუღურეთში ძირითადად მიწური სადგომები და ერთსართულიანი ბანიანი სახლები იყო, რომლებიც უსისტემოდ, ყოველგვარი გეგმისა და პროექტის გარეშე შენდებოდა. ქუჩის სახე მხოლოდ ძველი ავჭალის გზას ჰქონდა. 1844 წლის რუკაზე და შემდგომ წლებშიც კი ჩუღურეთი ქაოტური ტიპის დასახლებაა.



თბილისის 1844 წლის რუკა.



თბილისის 1867 წლის რუკა.

1845 წ. კავკასიის პირველი მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დაიწყო აქტიური მშენებლობის პროცესი. ჩუღურეთი და კუკია, რომლებიც 1840-იან წლებში ჯერ კიდევ თბილისის გარეუბნებად იხსენიებოდა, თანდათანობით ქალაქის განუყოფელი ნაწილი გახდა. 1867 წლის რუკაზე დაგეგმარებულია ქუჩების ქსელი, თუმცა განაშენიანება კვლავაც ქაოტურია. საკვლევი უბნის ქუჩების უმეტესობა

ჩამოყალიბებას 1860-იანი წლებიდან იწყებს და საუკუნის ბოლოსთვის სრულდება - მას შემდეგ ქუჩების ქსელი მნიშვნელოვნად აღარ შეცვლილა.



თბილისის 1902 წლის რუკა.

წინა წლებთან შედარებით განსხვავებული ვითარებას ვხედავთ 1902 წლის რუკაზე – ბუხაიძის I შესახვევი, რომელიც 1870-იან წლებში გაიკვალა მექოთნის/მეთუნეთა ქუჩისა და არსენალის გზას შორის (დღევანდელ თოიძის და ბუხაიძის ქუჩები) არსენალის შესახვევის სახელით არის აღნიშნული. ბუხაიძის ქუჩა, რომლის განაშენიანება ზურგის მხრიდან ესაზღვრება საპროექტო ნაკვეთს, XIX საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა. 1902 წლის რუკაზე მას ჩუღურეთის ქუჩა ჰქვია, 1934 წელს დაარქვეს არსენალის გზატკეცილი, ხოლო 1965 წელს ბუხაიძის სახელი ეწოდა.

აქ დღეს არსებული არქიტექტორუილი გარემოც XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ჩამოყალიბდა. XIX საუკუნის ბოლოდან შენდება ორ და სამ სართულიანი სახლები და ქალაქური ტიპის შენობები. XX საუკუნის დასაწყისის საარქივო ფოტოებზე ჩუღურეთის

უბანი უკვე მჭიდროდ არის განაშენიანებელი – ფერდობი ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი ორ, სამ, ზოგან კი ოთხსართულიანი შენობებით არის დაფარული.



თბილისის პანორამის ფრაგმენტი - XX საუკუნის დასაწყისის ფოტოსურათი.

უბნის განაშენიანების არქიტექტურული კონტექსტი ბუნებრივმა რელიეფმა განსაზღვრა და ქუჩების ქსელიც რელიეფის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა. არქიტექტურულად ნაკლებ ღირებული შენობებიც კი მისადაგებულია ურბანულ სტრუქტურასთან. ბუხაიძის ქუჩიდან დაღმართი მკვეთრად ეშვება ბუხაიძის I შესახვევისკენ – ამ წერტილიდან აღიქმება შესახვევის მთელი განაშენიანება. შესახვევის დასაწყისთან კიდევ ერთი დაღმართი ალ. ციმაკურიძის ქუჩისკენ მიემართება. აქ ქუჩების, დაღმართების და შესახვევების რთული ქსელია, რომლებიც რელიეფის შესაბამისად განვითარდა და რამაც ქუჩებზე მკვეთრად განსხვავებული ნიშნულების არსებობა განაპირობა – მაგალითად, ისეთ პატარა ქუჩაზეც კი, როგორიც ბუხაიძის I შესახვევია, ზურგის განაშენიანება

ტერასულია. თავის მხრივ I შესახვევის კენტი ნომრების მხარე წარმოადგენს ზედა ტერასას მის ქვემოთ გაკვალული თოიძის ქუჩისა და ბუხაიძის II შესახვევის განაშენიანებისთვის. ამ ქუჩებს, დღეს ძირითადად საცხოვრებელი ფუნქცია აქვს.



ბუხაიძის ქუჩის და ბუხაიძის I შესახვევის გადაკვეთა.

ბუხაიძის I შესახვევში არც ერთს შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, თუმცა ქუჩის განაშენიანებაში გვხვდება XIX საუკუნის ბოლო ათწლეულების და XX საუკუნის დასაწყისის, არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეული შენობები – ზოგიერთ მათგანში გვიანი კლასიციზმის ფორმები შერწყმულია ადგილობრივ ელემანტებთან – ბუხაიძის ქ. №10/7, ბუხაიძის ქ. №14, ბუხაიძის შეს. №№16/2,18/2,16,10 და სხვა. ეზოსკენ, თუ ქუჩისკენ გახსნილი ხის აივნები, ლითონის აჟურული აივნები, ხის პროფილირებული და ლითონის ცხაურებით გაფორმებული სადარბაზოების კარები, სადა პროფილებით შემკული შენობები. ქუჩის განაშენიანებაში ერთმანეთს ენაცვლება აგურის ფაქტურა და ნალესობით დაფარული ფასადები, ხის აივნები, რომლებსაც სივრცითი მრავალფეროვნება შემოაქვთ. ეს შენობები ქუჩის ისტორიული ნაწილის ჩამოყალიბების პერიოდის თანადროულია და მაღალი კულტურული ფასეულობის მქონე ფონურ განაშენიანებას და რელიეფთან კარგად მისადაგებულ ქალაქგეგმარებით გარემოს ქმნიან.

ინარჩუნებენ როგორც ისტორიული განაშენიანების მასშტაბს, ისე უბნის გეგმარებით სტრუქტურას და შესაბამისად, ურბანული ქსოვილის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. გვხვდება აგურის სტილის სადა ნიმუშებიც. ზოგი მათგანი დღეს ძალიან ავარიულია და ამის გამო დარჩა სტატუსის გარეშე.



ბუხაიძის I შესახვევი – ცალკეული შენობები.





ეს შენობები დღემდე განსაზღვრავს მიკროუბნის არქიტექტურულ ხასიათსა და გარემოს მასშტაბს. ბოლო ათწლეულებში ქუჩის ლუწი ნომრების მხარეს აშენდა ხუთსართულიანი სახლები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დიდი სივრცითი პაუზების გამო, მათ დისბალანსი არ შემოუტანიათ ქუჩის განაშენიანებაში და ქუჩის პერსპექტივსაც თითქმის ორგანულად მოერგო, რადგან აქ – ქუჩის დასაწყისში თავიდანვე მოცულობითი სახლები იდგა. კენტი ნომრების მხარე კვლავ ერთ-ორსართულიანი სახლებით არის მოშენებული.



ბუხაიძის I შეს. №6ა

უშუალოდ საკვლევი ნაკვეთის მიმდებარე არქიტექტურულ გარემოს არაღირებული შენობები განსაზღვრავს, რომლებსაც არ გააჩნიათ სახასიათო ურბანულ-არქიტექტურული სახე. ის მოქცეულია მეზობელ შენობებსა და ეზოებს შორის. ოდნავ მოშორებით დგას ახლად აგებული რამდენიმე სართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელის სადა ფასადები მშვიდი რიტმით არის დანაწევრებული – ხაზგასმულია პორიზონტალური,

რეგისტრები და მათ შორის მოქცეული ვერტიკალური ღიობები. აგურის ფაქტურაც შეესაბამება საერთო განწყობას.



ბუხაიძის I შესახვევი და №6 შენობა.

მიკროუბნის რელიეფის მკვეთრად განსხვავებული დონეების გამო საპროექტო ტერიტორიის სიღრმეში მდებარე ეზოს ბუხაიძის ქუჩის შემაღლებულ ფერდზე მოქცეული განაშენიანება ესაზღვრება. ეზოს სირღმეში რელიეფი კლდოვანია. მას ზურგის - ბუხაიძის I შეს. №12 - შენობისგან მაღლი აგურის კედელი მიჯნავდა, რომელიც ამჟამად ნაწილობრივ ჩამონგრეულია. მაღალი მხატვრული ღირებულების შენობები ნაკვეთს არც ბუხაიძის ქუჩის მხრიდან ესაზღვრება, თუმცა ისინიც მიკროუბნის ისტორიული მეხსიერების ნაწილია - რთულ რელიეფს მორგებული, ტერასულად განვითარებული შენობები კარგი მასშტაბით და მთელი უბნისთვის საერთო ორგანულობით ხასიათდება.

საპროექტო ტერიტორიას, მიმდებარე შენობების მსგავსად, ქუჩის წითელი ხაზის გასწვრივ სრულიად უსახური ბეტონის კედლით გამოდის, რომელშიც ავტოფარეხის კარი და კარ-ფანჯრის ღიობებია დატანებული. კედლის უკან, ზედა ტერასაზე დგას "ბარაკის" ტიპის სახლები, რომელთა მხოლოდ კონტურები იკვეთება სივრცეში.

დასკვნა და რეკომენდაციები

საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია ბუხაიძის I შეს. №6ა-ს ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების დემონტაჟი და გამონთავისუფლებულ მიწის ნაკვეთზე ახალი მრავალვინიანი საცხოვრებელი სახლის აგება.

ბუხაიძის I შესახვევის და მისი მიმდებარე ქუჩების განაშენიანების არქიტექტურული გარემო და გეგმარებითი სტუქტურა, ინარჩუნებს ავთენტურ ნიშნებს, რაც გასათვალისწინებელია უბნის სამომავლო განვითარებისას.

საპროექტო ტერიტორიაზე არაღირებუილი, სახეცვლილი და უსახური შენობები დგას და მათი დემონტაჟი დასაშვებია. მათ ადგილზე ახლის აგება მისაღებია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:



ბუხაიძის I შეს. №2/16 შენობა.

- პროექტირებისას გასათვალისწინებელია არსებული განაშენიანების ზომიერი მასშტაბი და თანმიმდებრული გეგმარება, საერთო ურბანული კონტექსტი. მოცულობის გაზრდა დასაშვებია იმდენად, რამდენადაც ქუჩის განაშენიანების საერთო მასშტაბი იძლევა ამის საშუალებას. ახალი შენობის სიმაღლე უნდა დარეგულირდეს ისტორიული განაშენიანების საერთო კონტურის შესაბამისად – ქუჩის დასაწყისში მდებარე №2/16 სახლის სიმაღლის გათვალისწინებით, რომლის კონტურები ქმნის ქუჩის განაშენიანებაში. ისე, რომ ახალი მოცულობა არ ამოვარდეს ქუჩის განაშენიანების საერთო სილუეტიდან.
- საპროექტო ობიექტის კონფიგურაცია და პროპორციები უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ ჩამოყალიბებულ ტიპს. მაგ. არასასურველია მინის უპროპორციოდ დიდი სიბრტყეები, ძველი ფორმების ხელოვნური იმიტაცია, უნდა შენარჩუნდეს ქუჩის წითელ ხაზზე განლაგება. ანგარიში უნდა გაეწიოს გეგმარებას და შენობის უკან კვლავ შენარჩუნდეს ეზო, რომელიც სივრცით ინტერვალს ქმნის ჩახრუხაძის ქუჩის განაშენიანებასთან.
- მისაღებია სადა არქიტექტურული გადაწყვეტა. აუცილებელია საპროექტო ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მაღალი სამშენებლო ხარისხი.

ხელოვნებათმცოდნე
მარინა ხატიაშვილი
11.05.2021